პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 53 (12565) | კვირა, 3 მარტი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

## ვიზიტი დამთავრდა

დამთავრდა ფინეთის პრემიერ-მინისტრის აპტი კარიალაინენის ათი დღის ვიზიტი სსრ კავშირში. იგი აქ იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით. პირველ მარტს, გვიან, სალამოს, მთავრობის მეთაური და მისი მეუღლე მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ.

ლენინგრადის სადგურზე სტუმარი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ტ. ნოვიკოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ფინეთის პრემიერ-მინისტრმა აპტი კარიალაინენმა წარმოთქვეს სიტყვები.

გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო სალაბატიო ყარაული და შესრულდა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკადესი).

## სსრ კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობა

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით ფინეთის პრემიერ-მინისტრი აპტი კარიალაინენი და ქალბატონი პ. კარიალაინენი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდნენ სსრ კავშირში 21 თებერვლიდან 2 მარტამდე.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ვიზიტის დროს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრემიერ-მინისტრ კარიალაინენის შეხვედრები და საუბრები. საუბრების მაველლობაში, რომლებიც გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა გულახლილად გაუზიარეს ერთმანეთს აზრები საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებზე.

ორივე მხარემ დიდი კმაყოფილებით დააღასტურა, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობა კარგია. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულება იყო და კვლავაც იქნება საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის მტკიცე საფუძველი. მხარეებმა გამოიტანეს ერთსულოვანი აზრი, რომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და ფინეთის სოციალურ-ეკონომიურ სისტემათა განსხვავებისა, მათს ურთიერთობაში პრაქტიკულად პოვეს სანიმუშო განსახიერება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებმა.

კმაყოფილებით აღინიშნა, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა კეთილნაყოფიერად ვითარდება ცხოვრების სხვადასხვა დარგებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ფინეთის პრემიერ-მინისტრმა გამოთქვეს რწმენა, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნიკისა და მასობრივი მოსპობის საშუალებათა განვითარების ახლანდელი დონის პირობებში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპთა დაცვა, საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგების ერთადერთი გონივრული გზაა. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ მსოფლიო თერმოატომური ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის საჭიროა საყოველთაო და სრული განიარაღება. ამ მიზნის მიღწევის გზაზე დიდნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ყველა სახეობის ატომური გამოცდის შეწყვეტა და ატომური იარაღის აკრძალვა.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელსაც სსრ კავშირი და ფინეთი ახორციელებენ, საბჭოთა კავშირ-ფინეთის ნაყოფიერი თანამშრომლობა, აგრეთვე ნეიტრალიტეტის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომელსაც ფინეთი ახორციელებს, და მისი მეგობრული ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან ზეგავლენას ახდენენ ევროპის ჩრდილოეთის მშვიდობისა და სიმშვიდის შენარჩუნებაზე და ხელს უწყობენ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

საუბრებში საფუძვლიანად განიხილეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის საკითხები. მხარეებმა უადრესად დადებითი შეფასება მისცეს გრძელვადიან შეთანხმებათა საფუძველზე ვაჭრობის წარმოების გამოცდილებას და შეთანხმდნენ მოემზადონ იმისათვის, რომ დაიდოს 1966-1970 წლებისათვის ახალი, მეოთხე გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება. ეს მზადება უკვე მიმდინარე წელს უნდა დაიწყოს. (საკდესი).

## ჩინეთ-პაკისტანის შეთანხმება

**პეკინი, 2 მარტი.** (საკდესი). დღეს აქ ჩინეთმა და პაკისტანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საზღვრის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით პეკინში გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ ქალაქ პეკინის მერი პინ ჯენი და პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ბჰუტო.

# წინ, ახალი გზუდეების ასალებად!

სოფლის მეურნეობის მოწინავეებია რესპუბლიკური თათბირის მიერ მიღებული სოციალისტური ვალდებულებანი ფართო განხილვის საგანი გახდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

— მივცეთ სამშობლოს მეტი ჩაი, ყურძენი, ხილი, ბოსტნეული, დაფნა, მარცვლეული, ხორცი, რძე, აბრეშუმის პარკი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები! — ასეთია სოფლის მშრომელთა საბრძოლო ამოცანა.

იმის შესახებ თუ როგორ დაიწყეს ამ ზღუდეების აღება ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოგვითხრობენ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების წერილები, რომლებსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

## მეურნეობა—შუქურა

ოჩხამურის მეურნეობა ერთ-ერთ დიდ საბჭოთა მეურნეობად ითვლება რესპუბლიკაში. აქ ყოველწლიურად იზრდება ჩაის ფოთლის წარმოება და ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის მხრივაც ჯერჯერობით პირველობას ინარჩუნებს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის.

1962 წელს ოჩხამურელმა მეჩაიეებმა ქვეყანას მისცეს 3.207 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 567 ტონით მეტი, ვიდრე წლიური გეგმა ითვალისწინებდა. 478 ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 6.702 კილოგრამი ჩაის ნედლეული. უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს ცალკეულმა აგროგაერთიანებებმა, ბრიგადებმა და რიგითმა მუშებმა.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია ბრძოლა შვიდწლიდის მეხუთე წლის ზღუდეების ასაღებად, ოჩხამურელი მეჩაიეებიც საფუძველს უყრიან მომდინარე წლის უხვ მოსავალს. ჩვენი შუქურა მეურნეობის კოლექტივის წინაშე საპატიო ამოცანად დგას ჩაის მოსავლიანობის კვლავაც გაზრდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად მომდინარე წელს ოჩხამურელებმა გადაწყვიტეს ქვეყანას მისცენ 3.200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 250 ტონით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს, და საშუალო მოსავალი ჰექტარზე გაზარდონ 6.700 კილოგრამამდე. ახლა ჩვენთან დაკვრითი წესით მომდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, ნიადაგის ბარვა და სასუქების შეტანა, სადრენაჟო არხების გაწმენდა.

**ი. ფუთურიძე,**
**ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სამგზის ლენინის ორდენოსანი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი.**

**ზუგდიდის** რაიონი. ინგირის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ლაო-ჩაის კრეფა. სულ გეგმით უნდა მოიკრიფოს 150 ტონა ნედლეული. მეჩაიეებმა დღემდე უკვე შეასრულეს დავალების ნახევარი.

**სურათზე:** (მარცხნივ): ლაო-ჩაის კრეფა ინგირის საბჭოთა მეურნეობაში.

**ბალის** რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კოხორასა" მეცატრუსეები ახლა აწარმოებენ პლანტაციების მკურნალობას. წელს მათ ვალდებულება აიღეს მიიღონ 1400 ტონა მანდარინი, 600 ტონა ფორთოხალი და რამდენიმე მილიონი ცალი ლიმონი. ეს ყველაფერი ბევრჯერ უფრო მეტია, ვიდრე შარშან იყო მიღებული.

**სურათზე** (მარჯვნივ). პლანტაციების მკურნალობა საბჭოთა მეურნეობა „კოხორასში".

ფოტო **ბ. სოკოლოვისა** და **ფ. ჭობონელიძისა** (საკადესის ფოტოქრონიკა).

## ველისციხელთა გვრეებში

**ვაზი** ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამიტომ, ბუნებრივია, საგულდაგულოდ ვუვლით 500 ჰექტარზე გაშენებულ ვენახს. შედეგიც ყოველწლიურად კარგია. მიეხეზედავად გვალვიანი წლისა, შარშან საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 78,4 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ცენტნერისა. სახელმწიფოს მივყიდეთ 2.835 ტონა ყურძენი, ვალდებულებით კი უნდა მიგვეყიდა 2.300 ტონა.

ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანით მთელი რაიონი ასახელა მეორე ბრიგადამ. აქ 24,5 ჰექტარე ვენახის საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 150 ცენტნერი ყურძენი. უფრო მეტი მოსავალი მოიყვანა მერგოლურმა ა. ონოფრიშვილმა. მაგრამ ეს როდი კმარა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირიდან რომ დავბრუნდნი, კოლმეურნეობაში მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 80 ცენტნერი ყურძენი.

კოლმეურნეები შეუდგნენ ვალდებულების შესრულებას. წელს გაზაფხულზე, გვაშენებენ 20 ჰექტარ ვენახს. ამისათვის ნიადაგი უკვე მზად გვაქვს. დავიწყეთ ვაზის გასხვლა. ამ საქმეს ვამოცდილი კოლმეურნეები ბ. დათუაშვილი, ა. კობიაშვილი, ა. თათუაშვილი აკეთებენ. სიმეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით გადავაწვინეთ და გამოვრგეთ 10 ათასი ძირი ვაზი, კიდევ 40 ათას ძირ ვაზს გამოვრგავთ.

**დ. მამისაშვილი,**
**გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" თავმჯდომარე.**

## მიფრინავს „მარსი-1"

### საკადესის ცნობა

**20 თებერვლიდან 1 მარტამდე** მოეწყო რადიოკავშირის მორიგი სეანსები საპლანეტათშორისო სადგურთან „მარსი-1". პირველ მარტს რადიოკავშირის სეანსის დროს მანძილი სადგურამდე შეადგენდა 78 მილიონ 843 ათას კილომეტრს. სადგურზე „მარსი-1" გადაიცა მთელი რიგი მართვის განკარგულებანი. სადგურიდან მიღებული რადიოსიგნალების სიმძლავრე რამდენადმე შემცირდა.

2 მარტს 9 საათზე მოსკოვის დროით საპლანეტათშორისო სადგურს „მარსი-1" ექნება შემდეგი ასტრონომიული კოორდინატები: პირდაპირი აღმასვლა—7 საათი და 8 წუთი, დახრილობა — 29 გრადუსი და 7 მინუტი. ამჟამად დედამიწიდან მისი დაშორების სიჩქარე შეადგენს 14,84 კილომეტრს წამში.

## ჰექტარზე 100 ცენტნერი სიმინდი

**რესპუბლიკის** სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირიდან რომ დავბრუნდი, დავრწმუნდი, რომ რასაც შარშან მივაღწიე, სრულიად არ არის საკმარისი. სამშობლო ჩვენგან მეტს მოითხოვს.

შვიდწლედის მეხუთე წელს კრასნოდარელ მშრომელთა მაგალითისამებრ მოსავლელად მიჩენილ ჰექტარ ფორთობს ისე დავამუშავებ, რომ მივიღებ 100 ცენტნერ სიმინდს მარცვლად ნაცვლად შარშან მიღებული 85 ცენტნერისა.

უკვე შევუდექი ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. გაზაფხულს ყოველმხრივ მზად შევხვდი. სათესლედ სპეციალურად შევარჩიე სიმინდი. ლაბორატორიაში შემოწმებამ ცხადყო, რომ იგი კონდიციურია. თესლი შენახული მაქვს მშრალ ადგილას.

სასიმინდე მიწა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ტრაქტორით მოიხნა. ხვნასთან ერთად საკმაო რაოდენობით შევიტანე ნაკელი. ერთი სიტყვით, სიმინდის დასათესად ნიადაგი ყოველმხრივ მზად მაქვს.

ჩვენში შრომა სიხარულია. მშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ ზრუნავენ მშრომელი ხალხისათვის. შვიდწლედის მეხუთე წელი არასოდეს არ დამავიწყდება — თანასოფლელებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს. უბრალო კოლმეურნე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს. მთელ ენერგიას მოვანდომებ საკოლმეურნეო საქმეს, ხალხის შექმნას და ამით ჩემს წვლილს შევიტან კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში.

**ჟ. ჯამაშურია,**
**გეგეჭკორის რაიონის სოფელ ტყვარის კოლმეურნეობის წევრი.**

## მეტი ხორცი, რძე სამშობლოს!

**საქართველოს** სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებებში აღნიშნულია, რომ ამაღლდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, წელს სახელმწიფოს მიეყიდოს ხორცი 60 ათასი ტონა, რძე 164 ათასი ტონა.

ჩემი პირადი ვალდებულება ასეთია: ადგილობრივი ჯიშის ძროხაზე საშუალოდ მივიღო 2 ათასი ლიტრი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 1700 ლიტრისა. პირველი, თვეებს მონაცემები ცუდი როდია. პირუტყვის კარგი მოვლისა და კვების შედეგად თვითეულ ძროხაზე იანვარ-თებერვალში მივიღე 227,8 ლიტრი რძე. ეს შარშან ამ დროსთან შედარებით 170,8 ლიტრით მეტია.

ჩემთვის მოსავლელად გამოყოფილ ძროხებს მუდამ აქვთ მრავალფეროვანი და უუთიანი საკვები: თივა, სიმინდის სილოსი, მაქრის ჭარხალი და სხვა.

ჩემი სიტყვა ყოველ წელს გამართლებულია წელსაც პირობას უეჭველად შევასრულებ.

**მარიამ ალუდაური.**
**დუშეთის რაიონის მაღაროსკარის კოლმეურნეობის მწველავი.**

## ძმური მეგობრობა

### ქალაქ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

**გუშინ,** 2 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. შეკრებილი დიდი გულითადობით შეხვდნენ მოძმე რესპუბლიკათა დედაქალაქების — ბაქოს, რიგისა და ერევნის მშრომელთა წარმომადგენლებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ 1963 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა ხელმოსაწერად.

ამ ქალაქების მშრომელებთან თბილისელებს უკვე დიდი ხანია აკავშირებს მეგობრობის, თანამშრომლობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და ტრადიციული შეჯიბრების უაღრესად მშვიდრო ურთიერთობა.

სალაბატო პრეზიდიუმში მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

მოხსენება ქალაქ თბილისის მშრომელთა მიერ 1962 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისა და 1963 წლის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ი. ფრუიძემ.**

მოხსენების დასასრულს ამხ. **ფრუიძემ** გამოთქვა რწმენა, რომ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება რიგის, ბაქოსა და ერევნის მშრომელებთან ხელს შეუწყობს ქართველი, აზერბაიჯანელი, ლატვიელი, სომეხი და ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

აქტივის კრებაზე გამოსულმა ორატორებმა ილაპარაკეს საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის ცხოველმყოფელ ძალაზე, წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებულია ბაქოს, რიგის, ერევნისა და თბილისის მშრომელთა შეჯიბრებაში, ამხელეს ნაკლოვანებანი, დასახეს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ახალ შრომით გამარჯვებათა მოპოვების გზები.

ტრიბუნაზეა აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის მდივანი **რ. ა. რაჯაბოვი.**

— ჩვენი კრება, — თქვა მან, — მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხები, მოძმე ხალხები, უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

ამხ. **რაჯაბოვმა** შემდეგ მოიყვანა ბაქოს მშრომელთა წარმატებების დამახასიათებელი მკაფიო ფაქტები და ციფრები.

თავისი გამოსვლის დასასრულისში სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ლ. ბ. ლარიბჯანიანი** გულმხურვალედ მიესალმა აქტივის მონაწილეებს, თბილისის ყველა მშრომელს ერევნელთა სახელით.

— ჩვენი ქალაქების შეჯიბრება, — თქვა მან, — უაღრესად კეთილნაყოფიერ გაგლენას ახდენს სამი მოძმე რესპუბლიკის ეკონომიურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ფართოვდება წარმოების მუშაკთა, მეცნიერთა, მწერალთა, ხელოვნების მუშაკთა ურთიერთკავშირი.

ლატვიის დედაქალაქის მშრომელთა სახელით აქტივის კრებას მიესალმა ლატვიის კომპარტიის რიგის საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე **ზ. დ. ოსმანინი.**

— რიგელები, — თქვა მან, — ამაყობენ თბილისელთა შრომითი გმირობით, სულით და გულით ულოცავენ მათ 1962 წელს მიღწეულ შედეგებს და ახალ დიდ წარმატებებს უსურვებენ.

დე ჩვენი ქალაქების შეჯიბრება, — თქვა დასასრულ ამხ. **ოსმანინმა,** — კიდევ უფრო მძლავრად გაიშლოს და ახალი დიდი ნაყოფი მოიტანოს.

აქტივის კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. ი. მოსაშვილმა,** თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკლმა **შ. ა. ფირცხალავამ,** თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშამ **პ. ნ. ბოგდანოვამ,** ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორმა **ი. ი. ზერეკიძემ,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ე. მელაძემ,** ორთაქალაქალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ს. ი. თოხაძემ,** კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ს. ე. ხაბეიშვილმა,** მთავართბილისმშენის უფროსმა **გ. გ. შენგელიამ,** მანქანათსაშენებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. დ. ჭუმბურიძემ,** თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორმა **ლ. ბ. აივაზოვმა,** თბილისის № 1 ტყავის ქარხნის მუშამ **ვ. ა. ეფენდიევმა.**

კრებაზე განიხილეს და დაამტკიცეს თბილისის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1963 წლისათვის.

საზეიმო ვითარებაში ქალაქების თბილისის, ბაქოს, რიგისა და ერევნის მშრომელთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. ეს ხელშეკრულებები ახალ დიდ შრომით საქმეთა სტიმული იქნება საყვარელი სამშობლოს სასახელოდ.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **გ. ა. გეგეშიძემ, დ. ს. ზემლიანსკიმ, გ. ს. ძოწენიძემ, გ. დ. ჯავახიშვილმა, მ. მ. ლელაშვილმა, გ. ი. ჩოგოვაძემ.** (საკადესი).

* * *

**ქ. თბილისის** პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ხელმოწერილ იქნა სოციალისტურ ვალდებულებათა ხელშეკრულება ქალაქებს თბილისს, ბაქოს, რიგასა და ერევანს შორის.

**სურათზე:** ხელს აწერენ ხელშეკრულებაზე.

ფოტო **ი. დვალისა**
(საკადესის ფოტოქრონიკა).

### თბილისის ფრონტიდან

## ჩვენი მიმოხილვა

**ჩვენი** რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები მინდვრად არიან გასული. ყოველ ხელსაყრელ დღეს განაგრძობენ საგაზაფხულო საადრეო თესვას. თებერვალში ბევრ საწარმოო სამმართველოში კარგად იმუშავეს. საკმარისია ითქვას, რომ **25 თებერვლისათვის რესპუბლიკაში დათესილი იყო 10.847 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.** აქედან 2.996 ჰექტარი გორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დათესეს.

ზნაურის საწარმოო სამმართველოში დათესილია 1.418 ჰექტარი, სილნაღის — 1.376 ჰექტარი, ხოლო გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტის მეურნეობებში — 2.195 ჰექტარი.

გაჩაღებულია ბარდის თესვა. სამარცვლე ბარდა დათესილია 3.662 ჰექტარი. ბარდის თესვაში დაწინაურდა სილნაღის საწარმოო სამმართველო, რომელმაც უკვე დათესა 817 ჰექტარი. გარდაბნის სპეციალიზებულმა ტრესტმა დათესა 805 ჰექტარი, ყვარლის საწარმოო სამმართველომ — 618 ჰექტარი.

**შედარებით ნელი ტემპია აღებული ბოსტნეულისა და ერთწლიანი ბალახების თესვაში. 25 თებერვლისათვის ბოსტნეული კულტურების ნათესი შეადგენდა 896 ჰექტარს.** გასულ წელს ამავე პერიოდში კი დათესილი იყო **1.648 ჰექტარი. ერთწლიანი ბალახები დათესილია 297 ჰექტარი, შარშან ამავე დროისათვის დათესილი იყო 491 ჰექტარი.**

## ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

**1 მარტს** ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

მოხსენება — რესპუბლიკის ვაჭრობის, სამინისტროს სისტემის სავაჭრო ორგანიზაციათა გასული წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები და 1963 წლის ამოცანები — გააკეთა საქართველოს სსრ ვაჭრობის **მინისტრმა შ. ლვინჯილიამ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა **ნ. ბიბილეიშვილმა,** აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრმა **ვ. მარღანიამ,** ქუთაისის სასაღილოების ტრესტის საოჯახო სამზარეულოს გამგემ **მ. ტულუშმა,** „საქტანსაცმლის" რესპუბლიკური ბაზის მმართველმა **მ. წვერავამ,** რესტორან „აფხაზეთის" მეტრდოტელმა **მ. შამუგიამ,** სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგემ **მ. კოკოევმა,** თბილმრეწველობის საჩუქრების მაღაზიის გამყიდველმა **ა. ქურხულიშვილმა,** „საქვაჭრობის" სამტრედიის განყოფილების ინჟენერმაღის დირექტორმა **კ. კბილაშვილმა,** სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. კიკვაძემ,** აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრმა **გ. მესხიძემ.**

თათბირის მუშაობა შეჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ.**

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკისადმი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ვ. მ. სირაძემ.** (საკადესი).

# ლენინური ეროვნული პოლიტიკის გეიმი

### საგზოთა აფხაზეთი 42 წლისაა

ხვალ, 4 მარტს, სრულდება საბჭოთა აფხაზეთის 42-ე წლისთავი. ეს დღესასწაული აღინიშნება დიდი შემოქმედებითი და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია შვიდწლედის მეხუთე წლის დიადი ამოცანებით. აფხაზეთის ასსრ მშრომელნი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ცხოვრობენ და შემოქმედებას ეწევიან სკკპ XXII ყრილობის, პარტიის ახალი პროგრამის იდეების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების მძლავრი ზემოქმედებით.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელმაც ნამდვილი თავისუფლება და განვითარება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოიპოვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთის მშრომელებს მოუტანა ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, კეთილდღეობის უმაგალითო აღმავლობა. ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ მეფის რუსეთის ჩამორჩენილ სანედლეულო კოლონიას წარმოადგენდა, საბჭოთა წყობილების ცხოველმყოფელ ხხივებქვეშ გადაიქცა აყვავებულ მხარედ, რომელსაც აქვს განვითარებული სოციალისტური მრეწველობა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, გადაიქცა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური მაღალი კულტურის მხარედ.

1921 წლიდან ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მსხვილი ინდუსტრიული ცენტრი — ქალაქი ტყვარჩელი. აქ ახლა არის ქვანახშირის რამდენიმე შახტი, დიდი თბოელექტროსადგური — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, შესანიშნავი გამამდიდრებელი ფაბრიკა. ფართოდ განვითარდა კვების მრეწველობა: აშენდა ჩაის ფაბრიკები, საკონსერვო და საფერმენტაციო ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკა და საკონდიტრო ფაბრიკა. წარმატებით ვითარდება მსუბუქი მრეწველობაც.

აღმავლობის გზით მიდის ჩვენი შესანიშნავი სოფლის მეურნეობა.

სასახელოდ იშრომეს ჩვენი რესპუბლიკის ადამიანებმა გასულ, 1962 წელს. აფხაზეთის ასსრ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1961 წელთან შედარებით გაიზარდა 0,6 პროცენტით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობისა — 0,2 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობისა — 4,4 პროცენტით. 1962 წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 16 ათასი ტონა ქვანახშირი, 343 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 4.127 ტონა პურ-ფუნთუშეული, 1.210 ცენტნერი ხორცი, 280 ცენტნერი ძეხვეული და სხვ.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა 1962 წელს მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ახალი ტექნიკის დასანერგავად საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარების, მაღალი წარმადობის მოწყობილობის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის ბაზაზე.

აფხაზეთის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩაის, ციტრუსების, ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. განსაკუთრებით დიდი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკის მეჩაიეებმა. გეგმით გათვალისწინებული 25.760 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 26 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთლის კრეფასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გალის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

სოფლის მშრომელთა წარმატებებზე რომ ელაპარაკობთ, ამავე დროს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სერიოზული ნაკლოვანებებიც. დღემდე ლიკვიდირებული არ არის ჩამორჩენა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო არტელების კოლმეურნეები ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აღმოფხვრან ეს ჩამორჩენა, მისცენ ქვეყანას მეცხოველეობის მეტი პროდუქტები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახე იცვალეს აფხაზეთის ქალაქებმა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მომსახურებას უწევს კულტურის სახლების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელი. დღითიდღე უმჯობესდება ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა, იზრდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი.

მზიური აფხაზეთი განთქმულია თავისი პირველხარისხოვანი კურორტებით. აქ ყოველწლიურად ისვენებს ათეულ ათასობით მშრომელი.

განსაკუთრებით განვითარდა სახალხო განათლება. 

# ოქროსვარსკვლავიანი

ბევრი სოციალისტური შრომის გმირია ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მრავალმა მათგანმა თავდადებული შრომით საქვეყნოდ გაითქვა სახელი. არა მარტო ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში, არამედ მთელ საქართველოში კარგად იცნობენ თამარ უუფუნიას, გული ნარსია, ლუბა სახოკიას. ყველგან მათს ნაყოფიერ გარჯაზე ლაპარაკობენ, მათი მუშაობის მაგალითზე სწავლობენ.

ამ წერილში ლუბა სახოკიაზე გვინდა მოგითხროთ.

ამ ჩუმი და ფუტკარივით შრომისმოყვარე ქალს 1948 წელს მეუღლე გარდაეცვალა, ლუბამ მტკიცედ გადაწყვიტა მამის მაგივრობაც თვითონ გაეწია სამი შვილისათვის. კარგად იცოდა: ამისათვის თავდადებული შრომა და პატიოსნება იყო მთავარი. ამ რწმენით მიდიოდა იგი ყოველდღიურად კოლმეურნეობაში საქმეშად. დღიურად ორ-სამ ნორმას ასრულებდა, 70-80 კილოგრამ ჩაის ხარისხოვან ფოთოლს კრეფდა.

— ყოჩაღი მეუღლე დარჩა ჩვენს შოთას, მართლაც არავის დაჯაბნინებს ოჯახს. დედაც ასეთი უნდა, —ამბობდნენ თანასოფლელები და კოლმეურნეთა კრებებზეც, რაიონულ შეკრებებზეც ლუბას ქებას ამბობდნენ.

ლუბასათვის გასაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1950 წელი. მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლიანობის დავალება, რისთვისაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიანიჭეს.

დიდმა წარმატებამ და დაფასებამ თავბრუ როდი დაახვია ნოვატორ მეჩაიეს. იგი უკეთესი წარმატების გზებს ეძებდა, სწავლობდა სახელმოხვეჭილი მეჩაიეების მუშაობის მეთოდებს, აგროტექნიკურ წესებს. შედეგიც თანდათან უმჯობესდებოდა.

თამარ უუფუნიას ბრიგადაში ერთ-ერთი საუკეთესო მეჩაიე სახელი რომ მოიხვეჭა, ლუბა მეორე რგოლს ჩაუყენეს სათავეში. ამან კიდევ მეტად გაზარდა მოვალეობა და თავისი თავისადმი მომთხოვნელობა.

ლუბას რგოლში 19 მეჩაიეა. პლანტაცია კი 5,5 ჰექტარი აქვს რგოლს. შარშან რგოლმა 29 ტონის ნაცვლად 32 ტონა მაღალი ხარისხის „მწვანე ოქრო“ ჩააბარა სამშობლოს. თვითონ ლუბამ 0,3 ჰექტარი პლანტაციიდან მოკრიფა 4.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.400 კილოგრამისა, და დავალება ერთთორად შეასრულა.

წელს ლუბას 7 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა აქვს გადაწყვეტილი, ხოლო რგოლს — 40 ტონისა. ამისათვის საფუძველი უკვე მზადა აქვთ — პლანტაცია მთლიანად გადაბარულია, შეტანილია სასუქები. შესრულებულია აგრეთვე საწრეტი კვლების ამოღება, ეკალ-ბარდებისაგან გაწმენდა და სხვა სამუშაოები.

შუქურების ბრიგადაში კი 100 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას ვარაუდობენ. ეს 20 ტონით მეტი იქნება, ვიდრე 1962 წელს იყო.

დიდად აფასებს თამარ უუფუნია ლუბას შრომას, მის ადამიანურ თვისებებს.

ოც წელზე მეტი კოლმეურნეობაში ვშრომობ. ყოველთვის მოწინავეა ჩემი ბრიგადა. ჩემი თანამოსაქმეები ყველანი კარგები არიან, მაგრამ ლუბა სახოკიას ახლა ბადალი არა ჰყავს ბრიგადაში, — თქვა თამარმა, — ამბობენ, ეფიქრობ, როცა პენსიაზე გავალ, ჩემზე მინდობილი საქმე — ბრიგადის ხელმძღვანელობა — ლუბას გადავაბარო.

ეს კი ყველაზე კარგი რეკომენდაციაა ლუბა სახოკიასთვის.

ახალსოფელი შუქურა ლუბა სახოკია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მონაწილე იყო. კრემლის ყრილობათა დიდ სასახლეში საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად ლუბა სახოკიაც ისმენდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მგზნებარე სიტყვას, რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეობის და მრეწველობის გაძღოლის ახალ ეფექტურ ფორმებს შეეხებოდა.

იქ, მოსკოვში, ლუბა შეხვდა ჩვენი ქვეყნის გამორჩენილ ადამიანებს, სოფლის მეურნეობისა და წარმოების ნოვატორებს, კორესპონდენტებს. განსაკუთრებით დაუვიწყარია შეხვედრა ვალენტინა გაგანოვასა და ნადეჟდა ზაგლადასთან. პლენუმის დამთავრების შემდეგ სახელოვანი მეჩაიე „პრავდის“ რედაქციაში მიიწვიეს.

აი როგორ იგონებს ნოემბრის პლენუმს სახელოვანი მეჩაიე ლუბა სახოკია.

— ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი სახიხარული დღეები, — სიამოვნებით ამბობს იგი, — რომელთა დავიწყება შეუძლებელია. მე, რიგით კომუნისტს, უბრალო მეჩაიე ქალს, წილად მხვდა ბედნიერება —მონაწილეობა მიმეღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მუშაობაში. და რამდენი იყვნენ პლენუმზე ჩემსავით უბრალო ადამიანები! ისინიც მოსულიყვნენ კრემლში თავიანთი მშობლიური საწარმოებიდან, კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან... მოსულიყვნენ ისინი და თან მოეტანათ სამშობლოსა და შრომის სიყვარული. სამშობლო და შრომა კი განუყოფელია.

აი ახლაც თვალწინ მიდგას პლენუმის ერთ-ერთი მონაწილის, უკრაინის სსრ კიევის ოლქის კოლმეურნეობა „რადიანსკა უკრაინის“ მერგოლურის სტეპანიდა ვიშტაკის კეთილი ღიმილი. ერთ-ერთ შესვენებაზე იგი ამ ღიმილით მომიახლოვდა. ჩვენ მაგრად ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს, შემდეგ კი სტეპანიდამ მითხრა:

— სულით და გულით მახარებს ქართველ მეჩაიეთა მიღწევები. ჩვენში ჩაი არ არის, მაგრამ არის შაქრის ჭარხალი. ჩაი უშაქროდ არ შეიძლება. თქვენ ამბობთ, რომ გაზრდით ჩაის მოსავალს, ჩვენ ვამბობთ — გავზრდით შაქრის ჭარხლის მოსავალს!

მე მაღლობა გადაუხადე სახელგანთქმულ მეჭარხლეს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, რომელთანაც ნოემბრის პლენუმმა სამუდამოდ დამეგობრა.

და განა მარტო უკრაინელი მეგობარი ფიქრობდა და ამბობდა ასე?! იგივე იყო პლენუმის ყველა მონაწილის — მეშახტისა თუ მანქანათმშენებლის, ზეინკლისა თუ ტრაქტორისტის, ინჟინერისა თუ მწველავის გულისნადები. ჩვენს კოლმეურნეობაშიც ხომ ასე ფიქრობს და შრომობს ასობით კოლმეურნე! აი თუნდაც ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი დავწლმოსილი მეჩაიე ბრიგადირი თამარ უუფუნია, მერგოლურები, ილიკო ჯოჯუა, გულნარა უუფუნია და მრავალი სხვ.

დიდად კმაყოფილი ვარ იმით, რომ პლენუმზე შევხვდი „მინდვრის მშრომელის ღირსებისათვის“ მებრძოლ ნადეჟდა ზაგლადას და სახელოვან ვალენტინა გაგანოვას. მოკრძალებითა და ღრმა პატივისცემით ვუყურებდი, ვუსმენდი მათ და მათსავით სხვა ამაგდარ ადამიანებს, ჩვენი პარტიის სახელოვან შვილებს, და უფრო ღრმად დავრწმუნდი, თუ რატომ არის ჩვენი ქვეყანა ასე ძლიერი, რატომ აქვს მშობლიური კომუნისტური პარტიის ყოველ სიტყვას ასეთი დიდი ძალა, რატომ გვიახლოვდება დღითი დღე ჩვენი სანუკვარი მომავალს — კომუნისტური საზოგადოების ნათელი...

...ისევ მშობლიური ზუგდიდი, ახალსოფელი. თანასოფლელებს ლუბა უყვებოდა პლენუმზე მიღებულ შთაბეჭდილებებს, უყვებოდა ჩვეული სიდინჯით და საუბარს წითელ ზოლად გასდევდა მისი რგოლის დიდი ამოცანები პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ.

ასეთია ლუბა სახოკია. ამიტომ იყო, რომ თანასოფლელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს წარჩინებული მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, კომუნისტი ლუბა სახოკია.

**გ. ნოდია.**

სურათზე: ლ. სახოკია.

## ფულტუგი — ცხაკაია

### მეგობრული გამოწვევა

ფულტუგი (სა. ორ.). საწარმოო [illegible] ... ბრიგადა [illegible] ... მზარი ყვარელთა და ზუგდიდელთა პატრიოტულ ეთაბლოგას, ფართოდ გაგაჩალეს ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის.

მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიეყიდება 7.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1.300 ტონით მეტი ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული. სამმართველოს მეურნეობები სახელმწიფოს მიეყიდიან 3.400 ტონა მარცვლეულს, — 12.000 ცენტნერ ხორცს, — 34.000 ცენტნერ რძეს, — 1.350.000 ცალ კვერცხს, — 3.000 ტონა ყურძენს, — 8.000 ტონა ხილს, —9.000 ტონა ბოსტნეულს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ფულტუგის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა, ეთანხმებიან ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს მშრომელები.

## ქართული კაპროლაქტამი — მაისში!

ბუშის კაპროლაქტამის მშენებლობაზე

# დიდი მშენებლობა — გაშლილი ფრონტით

**მშენებლობის** ოპერატიულ შტაბში აჯამებენ მესამე ეროკვირეულის განრიგის შესრულების შედეგებს. ზუსტად აღრიცხავენ ყველაფერი, ყოველი წერტილი, გაკეთებული და გასაკეთებელი. ეეცნობით ამ მასალებს.

— განრიგით გათვალისწინებული სამუშაოები ძირითადად შესრულებულია, — გვითხრა ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ვ. გაინრიმა.

გამარჯვება მოიპოვეს „პრომვენტილაციის“ სამმართველოს უბნის უფროსმა ვ. ლომთაძემ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ტიჩინინმა და მემონტაჟეებმა ნ. კურტანიძემ და მ. ფოლკოვმა, რომლებმაც განრიგით გათვალისწინებული ორი მარტის ნაცვლად № 964 კორპუსზე ვენტილატორის მოწყობა 26 თებერვალს დაამთავრეს.

გუშინ თათბირის დაწყებამდე, რომელსაც აქ ყოველ შაბათს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიურო ატარებს, მშენებლობა დაათვალიერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ქიმიური მრეწველობის განყოფილების სექტორის გამგემ კ. ზახაროვმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ჯაფარიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბახუამ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგემ გ. ვაშაკიძემ და რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

როგორ შესრულდა მუშაობის კვირეული განრიგი? ეს საკითხი იდგა მშენებელ მემონტაჟეთა გუშინდელ ოპერატიულ თათბირზე, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს ჩაატარა.

ვაგაზე და მაღალხარისხოვნად ჩატარდა ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის საქმე. ამ სამუშაოების დროული შესრულება მშენებელ-მემონტაჟეთა ქებას იმსახურებს, პირველ რიგში კი აღსანიშნავია „ტრანსსპეცმშენის“, „ქიმმრეწვმშენის“ და „მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველოების კარგი მუშაობა.

გაძლიერებული ტემპით მუშაობდნენ მემონტაჟეები მეთანის კონვერსიის აგრეგატების მონტაჟზე, ტექნიკური წყლის ქსელის გამორეცხვაზე და სხვა ოპერატულ სამუშაოებზე.

ჩვენ წინ დევს ერთკვირეული მუშაობის განრიგი. თავისი მოცულობით იგი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი წინამორბედი. ეს გასაგებია. მშენებელ-მემონტაჟეები წინა განრიგის დროს მუშაობას აწარმოებდნენ კაპროლაქტამის წარმოების პირველი ჯგუფის მშენებლობის ობიექტებზე. ამ კვირაში კი მათ შეუტიეს მეორე ჯგუფის სამუშაოს. მეორე ჯგუფის სამუშაოები კი თავისი მოცულობით ბევრად უსწრებს წინა ჯგუფს. აქ მისაღები ამონიუმის ბისულფიტისთვის საჭიროა უთვალავი სამუშაოების წარმოება, კერძოდ № 964 კორპუსზე პირველ რიგში უნდა დამთავრებულიყო ვენტილაციის დანადგარების მონტაჟი. ეს სამუშაო წარმატებით შესრულა „პრომვენტილაციის“ სამმართველოს კოლექტივმა. ვაგაზე ორი დღით ადრე უზრუნველყო „სტალკონსტრუქციის“ სამმართველომ 973 კორპუსის ლითონკონსტრუქციების მოედნების გადაკეთების სამუშაოები. ამავე კორპუსზე „ენერგოჩერმეტის“ სამმართველოს კოლექტივს დავალებული ჰქონდა დაემთავრებინა № 2 უტილიზატორის ქვაბის მონტაჟი მისი გამოცდით და გადაეცა იგი „სოიუზტეპლოსტროის“ სამმართველოსათვის ამოგებითი სამუშაოების საწარმოებლად. შემსრულებელი ორგანიზაციის წარმომადგენლმა აგამირიანმა ოპერატიულ თათბირს მოახსენა, რომ აღნიშნული სამუშაო დამთავრებულია. ამავე კორპუსზე სამუშაოების დასრულება მოახსენეს აგრეთვე „სპეცმშენისა“ და „პრომვენტილაციის“ სამმართველოების უფროსებმა ვოლდეიტმა და ჩიქოვანმა.

როცა ათვალიერებთ კვირეული მუშაობის განრიგს და იქვე სამშენებლო მოედნებზე გაწეულ მუშაობას, არ შეიძლება ქმაყოფილება არ გამოთქვათ „კავსანტეხმონტაჟის“, „ქიმმრეწვმშენის“, და „სპეცმშენის“ სამმართველოების მიმართ. ახოტოვანი სასუქების ქარხნის დირექციამ მშენებელ-მემონტაჟეები მთლიანად უზრუნველყო კვირეული განრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის მასალებით, მათ შორის თუჯის ქიმტრუბით, ტყვიოვანი მილებით, საყრდენი იზოლაციით, კვარცოვანი მილების სახურავებით.

მშენებლებს არზანიტი შემოაკლდათ. სასწრაფოდ იქნა ზომები მიღებული, და ეს ძვირფასი მასალა თვითმფრინავით ჩამოიტანეს მოსკოვიდან. ეს რიგით მეორე პარტია, რომელიც თვითმფრინავით ჩამოაქვთ. მშენებლებს ხელი არ შეშლიათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს „გლავსნაბსბიტის“ უფროსის მოადგილის მ. ნახაპეტოვის ყურადღება და მონდომება კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობის მასალებით მომარაგების საქმეში.

სამწუხაროდ, კვირეული განრიგის გადახედვისას ვხვდებით ისეთ პუნქტებსაც, რომლებიც არ არის შესრულებული. „მონტაჟხმზაშრიტის“ სამმართველომ ვერ უზრუნველყო 958 კორპუსზე აპარატების ამოგების სამუშაოების შესრულება. „მეტალურგპროკატმონტაჟის“ სამმართველოს ორკონიკიის უბანმა განრიგით გათვალისწინებული დამჯდომი ელექტროდების აწყობის ვადები ჩაშალა. ასევე არ იქნა შესრულებული ტექნოლოგიური ქსელის გამოცდისა და ქსელში ორთქლის მიწოდების სამუშაოები, რაშიც ბრალი მიუძღვით „მეტალურგპროკატმონტაჟის“ და „თერმოიზოლაციის“ სამმართველოს ხელმძღვანელებს.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ქიმიის მრეწველობის განყოფილების სექტორის გამგე კ. ზახაროვი. მან მნიშვნელოვანი საკითხები დააყენა მშენებლობის დასაჩქარებლად.

თათბირმა მიიღო ახალი ერთკვირეული განრიგი.

**ი. ბეჟაშვილი,**
**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

# ეღწდის ატომური გამოცდა!

### 18 სახელმწიფოს კომიტეტში

**ჟენევა**, 1 მარტი. (საკდესი). დღეს აქ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის უ. ფოსტერის თავმჯდომარეობით გაიხსნა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი პლენარული სხდომა. დღევანდელი დისკუსიის თემაა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა.

სიტყვა პირველმა აიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგატმა კ. კურკამ. მან სინანულით აღნიშნა, რომ შეთანხმების მიღწევისათვის ხელსაყრელი ვითარება, რომელიც საბჭოთა მთავრობის მნიშვნელოვანი დათმობის შეობებით შეიქმნა გასული წლის დამლევს, ჯერაც გამოუყენებელია.

შეიძლება ითქვას, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის უ. ფოსტერის გამოსვლაში ერთადერთი ახალი მომენტი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ იგი მიდის ამერიკის შეერთებულ შტატებში, „რათა განაგრძოს მუშაობა განიარაღების და შეიარაღებისადმი კონტროლის საგენტოში“.

ბულგარეთის წარმომადგენელმა ბ. ტარაბანოვმა გააკრიტიკა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია, რომლებიც საფრთხეს ქმნიან შეთანხმების გზაზე და მკვეთრად დაგმო გამალებული შეიარაღება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სსრ კავშირის დელეგატმა ს. კ. ცარაპკინმა ხაზგასმით აღნიშნა: მთელმა მსოფლიომ იცის, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ყოველთვის ატეხენ ხოლმე ყვირილს „ვეტოს“ შესახებ, როცა სურთ შეთანხმება ჩაშალონ. ამასთან ისინი არ ირჯებიან, რათა რაიმე ხაფუძველიანი არგუმენტი მოიყვანონ.

საბჭოთა წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ყველა დელეგატმა, რომლებიც კომიტეტში გამოვიდნენ, მათ შორის დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირმა ბევრ რამეში გაუწია ანგარიში დასავლეთის სახელმწიფოებს, როცა დათანხმდა ინსპექციებისა და ავტომატური სეისმური სადგურების იმ რიცხვზე, რომელიც მათ დასახელეს. ახლა ყველასთვის ნათელია თქვა ს. კ. ცარაპკინმა, რომ ატომური იარაღის გამოცდის პრობლემის გადაჭრა მთლიანად დამოკიდებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზე.

## კუბა გვიჩვენებს გედნიერების გზას

**სან-ხოსე**, 2 მარტი. (საკდესი). აქ გაიმართა კუბასთან სოლიდარობის მიტინგი, რომელიც მოაწყო „კოსტა-რიკის „კუბის რევოლუციის მეგობართა საზოგადოებამ“. მიტინგზე გამოვიდნენ დელეგატები ლათინური ამერიკის ქალთა კონგრესისა, რომელიც ამას წინათ გაიმართა პანამაში. მათ დამსწრეებს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი კუბაში მოგზაურობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გმირ კუბელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა და ჩაფუშოს იმპერიალისტ აგრესორთა ხრიკები.

მიღებულ რეზოლუციებში აღნიშნულია, რომ „კუბა უჭერენებს ლათინური ამერიკის ხალხებს პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისა და სრული ბედნიერების გზას“.

მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ დაიცვან კუბის რევოლუცია.

## ინგლისი ზრდის ძალებს

**კაირო**, 2 მარტი. (საკდესი). ინგლისი სასწრაფოდ უყრის თავს ძალებს იემენის სახღვრებზე. გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინწინ სუეცის არხით მეზამთარ ხღვაში გავიდა ინგლისის სამი სამხედრო ხომალდი, მათ შორის ერთი ავიამზიდი და ერთი კრეისერი.

## „გულთბილი შეხვედრა“

**კარაკასი**, 2 მარტი. (საკდესი). „გემი „ანსოატეგი“ ბრაზილიამ დაუბრუნა გენესუელის მთავრობას. პატრიოტები, რომლებმაც გმირული რეისი განახორციელეს, ბრაზილიაში დარჩნენ, მაგრამ გემის ეკიპაჟი დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მას მოელოდა... „გულთბილი“ შეხვედრა. ვენესუელის ხელისუფლებამ დაუპატიმრეს ეკიპაჟის 10 წევრი. დაბარნენებს ეკიპაჟის აქვთ კავშირი ჰქონდეთ მოსახლეობასთან.

## უნგრეთის მოსახლეობა

**1963 წლის** პირველი იანვრისათვის უნგრეთის მოსახლეობა შეადგენდა 10.071 ათას კაცს.

## ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

# ტელეგრაფი გვატყობინებს

□ ჰავანა, 2 მარტი. (საკდესი). ამერიკელმა საზღვაო მეკობრეებმა ჩაიდინეს მორიგი პროვოკაცია კუბის წინააღმდეგ.

23 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების საესადრო ნაღმოსანი გუანტანამოს ყურიდან სამ მილზე თავს დაესხა კუბის პატარა საკამბეჩო გემს. ნაღმოსანი მიუახლოვდა კუბის გემს და სერიოზული დაზიანება მიაყენა მარცხენა მხარეს. ამის შემდეგ ამერიკელი მეკობრე ერთი საათის განმავლობაში მისდევდა გასაჭირში მყოფ გემს.

□ ვაშინგტონი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა ვალტერ ჰალშტაინი, ევროპის ეკონომიური გაერთიანების კომისიის პრეზიდენტი ან როგორც მას აქ უწოდებენ, ევროპის საერთო ბაზრის პრეზიდენტი.

ორშაბათს 4 მარტს, იგი მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ კენედისთან, სახელმწიფო მდივანთან დ. რასკთან და სხვა ოფიციალურ პირებთან საკითხებზე, რომლებიც ეხება ატლანტიკის გაერთიანებასა და საერთაშორისო ვაჭრობას.

□ ბონი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს ბუნდესრატმა (დასავლეთ გერმანიის პარლამენტის მხარეების პალატამ) მოიწონა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის თანამშრომლობის ხელშეკრულება. ხელშეკრულება გადაეცა ბუნდესტაგს განსახილველად.

□ პარიზი, 2 მარტი. (საკდესი). გაისად საფრანგეთმა, შესაძლოა, აიფეთქოს მცირე სიმძლავრის საკუთარი წყალბადის ბომბი, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს პარიზის „საქმეს გაცნობილ წრეებს“. როგორც ჩანს, გამოცდები იწარმოებს კუნძულ მანგარევაზე, 1.600 კილომეტრზე ტაიტის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

## პორტუგალიელთა ბარბაროსობა

**პარიზი**, 1 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა „პორტუგალიის“ გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აფრიკელი პარტიის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლების მსვლელობაში აფრიკელმა პატრიოტებმა შეუტიეს და გაუფვნებლეს პორტუგალიელ ჯარისკაცთა ჯგუფი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ პორტუგალიელი ბარბაროსები არ წყვეტენ მხიცურ მოქმედებას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

„იმ მომენტში, როცა „პორტუგალიის“ გვინეის ხალხი მამაცურად შეებრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უკანასკნელ ფაზაში, — ნათქვამია „პორტუგალიის“ გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აფრიკული პარტიის გენერალური სამდივნოს განცხადებაში, — ჩვენ დაბეჯითებით მოვეწოდებთ მთელ მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ძალებს, კერძოდ, აფრიკის ქვეყნების ხალხებსა და მთავრობებს, გაუწიონ კონკრეტული და დაუყოვნებლივი დახმარება „პორტუგალიის“ გვინეის ხალხს“.

## მილიონოგით საწარმოო ტრავმა

**ჰამბურგი.** დასავლეთ გერმანიის ქარხნებსა და ფაბრიკებში სულ უფრო ხშირად გაისმის საავარიო სირენის საგანგაშო ღმეული. შრომის მკვეთრმა ინტენსიფიკაციამ, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერებამ გამოიწვია უმეტესურ შემთხვევათა რაცხვის ზრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საწარმოებში. დასავლეთ გერმანიის პროფკავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მოღვაწემ ბერმანმა აღიარა, რომ 1962 წელს საწარმოო ტრავმის, დასახიჩრებისა და სიკვდილის შემთხვევების რაცხვმა ვეებერთელა ციფრს — 3,2 მილიონს მიაღწია.

## სენსაციური ქურდობა

**პარიზი.** სენსაციური ქურდობა მოხდა საფრანგეთის ქალაქ ეტს-ენ-პროვანსში. ქალაქის მუზეუმიდან გაქრა შესანიშნავი მხატვრის ლუკას კრანახ უფროსის სურათი „ახალგაზრდა ქალიშვილის პორტრეტი“. როგორც მუზეუმის ადმინისტრაციამ განაცხადა, სურათი ჩარჩოდან ამოუჭრიათ და მოუპარავთ. ხელოვნებათმცოდნეებს უჭირთ განსაზღვრონ მხატვრის ნაწარმოების ზუსტი ღირებულება. მაგრამ უეჭველია, რომ მისი ფასი ასეულ ათასობით ახალი ფრანკით განიზომება.

## თვითმკვლელობის კოდეკი

**პარიზი.** პარიზის ყველაზე მაღალი ნაგებობა — ეიფელის კოშკი — საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა. მაგრამ უკანასკნელ წლებში კოშკმა სხვა მხრივაც სავალალოდ გაითქვა სახელი. მის ბაქნებზე ტურისტების გარდა ადიან ადამიანები, რომლებსაც კაპიტალისტური სინამდვილე ცოცხრებაში ადგილს არ უტოვებს. უკანასკნელ ხანს სამასზე მეტმა კაცმა მოიკლა თავი ამ კოშკიდან გადმოხტომის გზით.

## ინგლისის კოლონიური მაჰინაციები

**ლონდონი**, 1 მარტი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისელ კოლონიზატორთა მიერ შექმნილი როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაცია დაშლის ზღვარზე აღმოჩნდა, ინგლისის კოლონიური უწყება ახლა ამზადებს გეგმებს შეინარჩუნოს ზოგიერთი პოლიტიკური და უმთავრესად ეკონომიური კავშირურთიერთობა სამხრეთ როდეზიასა და სპილენძის საბადოებით მდიდარ ჩრდილოეთ როდეზიას შორის. ეს საშუალებას მისცემდა მონოპოლისტურ გაერთიანებებს, რომლებშიც გაბატონებულია ინგლისის კაპიტალი, უწინდებურად ულმობელი ექსპლოატაცია გაეწიათ ჩრდილოეთ როდეზიის ბუნებრივი სიმდიდრეებისათვის.

ინგლისის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ბატლერმა დღეს თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას სურს გამართოს მოლაპარაკება ჩრდილოეთ როდეზიასა და სამხრეთ როდეზიას შორის „ასოციაციის შესაძლო საუკეთესო ფორმის“ დამყარების შესახებ. ბატლერმა, რომელმაც ამას წინათ იმოგზაურა როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციაში, გადაკვრით თქვა, რომ წინასწარ საჭიროა განხორციელდეს „მოსამზადებელი მუშაობა“.

ამავე დროს ბატლერმა უარი განაცხადა განესაზღვრა თარიღი, თუ როდის შეძლებს ნიასალენდი, რომელიც აგრეთვე შედის როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციაში, საბოლოოდ გამოვიდეს იქიდან, თუმცა შეთანხმება ამის შესახებ ადრეა მიღწეული.

ოპოზიციის სახელით გამოვიდა ლეიბორისტი დ. ჰილი, რომელმაც განაცხადა, ბატლერის სიტყვა იმედს გვიცრუებსო. ჰილმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა შეუძლებელია როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციის შენარჩუნება, და მოუწოდა ინგლისის მთავრობას სცნოს ჩრდილოეთ როდეზიის ის უფლება, რომ გამოვიდეს ფედერაციიდან.

# ბონის საომარი ზრახვები

### კიდევ ერთი ნაბიჯი ატომური იარაღისაკენ

**ნიუ-იორკი, 1 მარტი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ფონ ჰასელმა დაამთავრა თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში. გუშინ იგი ეწვია ამერიკის სამხედრო აკადემიას უესტ-პოინტში. ფონ ჰასელი მომდევნო ორ დღეს ნიუ-იორკში გაატარებს როგორც კერძო პირი.**

**საკდესის კომენტატორი ა. ტიუპაევი წერს:**

**ამერიკის** შეერთებული შტატების პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელებთან დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრის სამ დღის მოლაპარაკებას შედეგად გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე, რომელიც მთლიანად მოწმობს, რომ ვაშინგტონსა და ბონს განზრახული აქვთ განაგრძონ აქტიური თანამშრომლობა სამხედრო დარგში. ამას ემსახურება აგრეთვე „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის გეგმები, ესე იგი იმის გეგმები, რომ ატომური იარაღი გავრცელდეს ნატოს წევრი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის. ეს პირველი ნაბიჯი ეხება დასავლეთ გერმანიას. როგორც კომუნიკედან ნათლად ჩანს, „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნა ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეებთან ფონ ჰასელის მოლაპარაკების ძირითადი შინაარსი იყო. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პრეს-ბიურო აღნიშნავს, რომ ფონ ჰასელმა განაცხადა: ბონი დაინტერესებულია რაც შეიძლება მალე შეიქმნას გაერთიანებული ატომური შეიარაღებული ძალები...“

მოლაპარაკების მსვლელობა, რამდენადაც იგი პრესის ფურცლებზე გაშუქდა, უეჭველს ხდის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები ისწრაფვიან, რამდენადაც შეიძლება, დაჩქარონ გადაწყვეტილებათა მიღება „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შესახებ, რათა შემდეგ დრო არ დაკარგონ და შეუდგნენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ბონის განზრახვებს, რომ „მრავალმხრივი ატომური ძალების“ გამოყენებით დაჩქარონ ატომური იარაღის მიღების პროცესი, მოწმობს აგრეთვე პრესის ცნობები, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში ფონ ჰასელი „მზად იყო დათანხმებოდა“ იმას, რომ „პოლარისის“ რაკეტების მატარებლებად პირველ რიგში უნდა გამოიყენონ წყალზედა ხომალდები. „ბონს მოსწონს სატვირთო გემების გამოყენების იდეა, რადგან ეს გემები უფრო იაფია და მათი აგება უფრო სწრაფად შეიძლება“, — აცხადებს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის პრეს-ბიურო“.

მოლაპარაკების მ

„კომუნისტის“ პუბლიკაცია

# ლიტერატურა მუსიკა ფერწერა კინო



გალაკტიონ ტაბიძე (1911 წ.)

# გალაკტიონის უცნობი სტრიქონები

**დიდი** ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების 1911-12 წლების პერიოდზე ნაკლებად მოგვეპოვება საინტერესო ლიტერატურული მასალები, ამიტომ ამ მიმართულებით მიკვლეულ ყოველ ახალ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის მღელვარე შემოქმედებითი ცხოვრების შესასწავლად.

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ გ. ტაბიძის არქივში არის პოეტის ერთი ლექსი, რომლის სტროფების კიდურწერილობა იძლევა ქალის სახელს „რაისა“

**„რისთვის ტოკავს ხშირი ჩქერი,**
**ან ნაკადი, ან ჩანჩქერი.**
**იმიტომ, რომ რაც კი სძულდა — —**
**სულის სევდა, ფიქრთა მტვერი,**
**აიცილა, გაზაფხულდა“.**

ცხადია რაისა პოეტის ახლო მეგობარია, მაგრამ ვინ უნდა იყოს იგი? ბერძნული ლიტერატურის მკვლევარის, დოცენტ ნათელა ნიკოლოზის ასულ კაკაჯანიძის ოჯახში დაცულია გ. ტაბიძის უცნობი ლექსები და პირადი წერილები, რომელთა შეწყვილა შუქს ფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს და ახალ მასალებს გვაწვდის პოეტის ბიოგრაფიისათვის.

რაისა, პოეტის სიჭაბუკის პერიოდის უახლოესი მეგობარი, გ. ტაბიძის ქართული ენის მასწავლებელი რაფიელ ჩიხლაძის უფროსი ქალიშვილია. რაფიელ ჩიხლაძე ცნობილი იყო ქუთაისში, როგორც სახალხო მასწავლებელი, რომლის სახელი რევოლუციურად განწყობილი ახალგახრდობის თავმესაფარს წარმოადგენდა.

გალაკტიონს სემინარიელ მასწავლებელთა შორის ყველაზე უფრო რაისას მამა უყვარდა. პოეტის კლასის ამხანაგი გენადი მიხელიძე იგონებს: „ყოველი გაკვეთილის უკანასკნელ 10-15 წუთს რაფიელ ჩიხლაძე ანდომებდა თავისუფალ საუბარს, როდესაც ის გვაწვდიდა ილემენტარულ ცოდნას სხვადასხვა დარგიდან.

ასეთ გაკვეთილებზე დასწრება ასპროცენტანი იყო და მოწაფეების ყურადღება — დაძაბული, გულჩათხრობილი, მეტწილად ჩუმი და ჩაფიქრებული გალაკტიონი რ. ჩიხლაძის გაკვეთილებზე უჩვეულოდ გამოცოცხლდებოდა ხოლმე, იჩენდა დიდ ცნობისმოყვარეობას და აქტიურად ებმოდა საუბარში“.

მეამბოხე ჭაბუკი პოეტი რევოლუციურად განწყობილ საყვარელ მასწავლებელთან იოკებდა აფორიაქებულ გულს, სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი ოჯახის ტრადიციებზე აღზრდილი ქალიშვილი რაისა ჩიხლაძე გ. ტაბიძის გატაცების საგანი გახდა.

გალაკტიონი მაშინ 19 წლის ჭაბუკი იყო, რაისა კი ქუთაისის ქალთა სასწავლებლის უკანასკნელი კლასის მოსწავლე.

ქუთაისის ქალთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რაისა ჩიხლაძეს სტიპენდია დაუნიშნეს ყიევის უმაღლეს სასწავლებელში გასამგზავრებლად. ღარიბი ოჯახის შვილს გზა გაუხსნა, მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს ერის დიდებამოსილი გმირების სახეები აუჩჩეევია თავისი სამშობლო ოთახისათვის. ჩანს, სწორედ ეს გმირები ხიბლავდა ყველაზე მეტად მგოსანს იმ ადამიანებს შორის, რომელთა ღვაწლმა და თავდადებამ საქართველო დაღუპვას გადაარჩინა...

ილიას ეპოქაში (და არა მარტო ილიას ეპოქაში, არამედ მთელ მეცხრამეტე საუკუნეშიც) ხომ ეროვნული ბრძოლის ასპარეზი არსებითად მხოლოდ ეროვნული კულტურისა და ენის დაცვის სფეროთი იფარგლებოდა. ერს აღარ შეეძლო მტერთან ხმლით შებრძოლება და დამოუკიდებლობის მოპოვება. ეს პორტრეტები კი ალბათ ერთგვარად ანუგეშებდნენ და ამხნევებდნენ ლობდნენ. დასასრულ, ეს პორტრეტები დიდ ინტერესს იწვევენ თავიანთი „ისტორიული შინაარსისთვიც“. ქართველი ხალხის

## ახალი ამბები

# მდუმარე მემატიანეები

**საბჭოთა** ადამიანებმა თავიანთ ხელში აიღეს სიძველეთა დაცვის, მოვლის, აღდგენისა და გამაგრების საქმე. ეს კეთილშობილური საქმიანობა გეგმაზომიერად, მეცნიერულად დასაბუთებულად ხორციელდება.

ამ მიზნით თბილისში 1950 წელს შეიქმნა სპეციალური მეცნიერულ-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნო, რომელიც დიდ და საჭირო საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენა-გამაგრებისათვის.

სიძველეთა რესტავრაცია განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება. აქ ერთმანეთს უერთდება მეცნიერის, არქიტექტორის, ინჟინრის, მშენებლის აზრი. საწარმოო სახელოსნოს 12 წლის არსებობის მანძილზე აქ შეიქმნა სპეციალისტების, არქიტექტორების, სამუშაოთა მწარმოებლების, ოსტატებისა და მუშახელოსნების კადრები.

სპეციალური მეცნიერულ-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს (დირექტორი არქიტექტორი ფრ. გუჯეჯიანი, მთავარი არქიტექტორი თ. კობახიძე) ოთახებში საქართველოს ყველა ძეგლის ნახაზებს ინახავენ. ზოგი აღდგენილია, ზოგი გამაგრებული, ზოგი აღდგენა-გამაგრებას საჭიროებს, ზოგი კი ელის რესტავრატორების მოსვლას.

სპეციალურ საწარმოო სახელოსნოში მეცნიერულად შეისწავლიან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ მატერიალური კულტურის ძეგლებს. აღგენენ რესტავრაციისა და კონსერვაციის პროექტებს, აწარმოებენ აღდგენა-გამაგრების სამუშაოებს ადგილებზე. 1950 წლიდან დღემდე სახელოსნომ აღდგენა-გასამაგრებელი სამუშაოები შეასრულა მატერიალური კულტურის 300-ზე მეტ ძეგლზე, მეცნიერულად შეისწავლა და შექმნა აღდგენითი პროექტები 150-ზე მეტ ძეგლზე. განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია გაწეული მატერიალური კულტურის ისეთ ძეგლებზე, როგორიც არის სამწევრისი, ჯვარპატიოსანი, ბაგრატის ტაძარი, გელათი, გარეჯი, სვეტიცხოველი, მცხეთის ჯვარი, ანჩისხატი, მეტეხის ციხე, ლურჯმონასტერი, იკორთა, სხალთა, ბიჭვინთა და სხვ.

გასულ წელს აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები შესრულდა ვარძიაზე, წრომზე, ბაგრატის ტაძარზე, მცხეთის ჯვარზე, სვეტიცხოველზე, იკორთაზე და სხვ. ძეგლების რესტავრაცია იმდენად სათუთი საქმეა, რომ ხანგრძლივ და დაძაბულ შრომას მოითხოვს. ამიტომ არის, რომ მთელ რიგ ძეგლებზე წლობით მიმდინარეობს მუშაობა.

წელს სპეციალური მეცნიერულ-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნო განაგრძობს სამუშაოებს ძველ ობიექტებზე, აგრეთვე დაიწყებს აღდგენა-გამაგრებით მუშაობას ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ძეგლებზე. 1963 წელს ქართველი რესტავრატორები იმუშავებენ გარძიაში, წრომში, ბაგრატის ტაძარზე, ნიკორწმინდაში, პატარა ონში, გელათში, ანჩისხატზე, ვანნაძიანში, სამთავროზე და სხვ. აღდგენა-გამაგრების სამუშაოებთან ერთად სახელოსნო აწარმოებს კედლის მხატვრული ფერწერის (ფრესკების) გამაგრებასაც. ამ მხრივ საყურადღებოა ატენის, სიონის, სამთავროს, ვარძიის, მარტვილისა და სხვა ძეგლების ფრესკები. 1963 წელს სახელოსნო ფართო პროპაგანდას გაუწევს მატერიალური კულტურის ძეგლებს.

**ო. ლორთქიფანიძე.**

### სამონადირეო მეურნეობა

**თელავი.** (საკ. კორ.). ალაზნის მარჯვენა მხარეს შეიქმნა სამონადირეო მეურნეობა, სადაც გამრავლდება შველი, ზოობი, დეკაჯრ, კურდღელი. ნადირისა და ფრინველისათვის უკვე დათესილია ბალახი, გაზაფხულზე დაითესება ფეტვი და სიმინდი.

ფასანაური. სასტუმრო ავტოტურისტებისათვის. ნახატი ზ. თავართქილაძისა.

### ბედეული ცნობები საჭირო აღარაა...

მოსკოვი, 2 მარტი. (საკდესის კორ.). არის შემთხვევები, როცა საცხოვრებელი ფართობის მიღებისა და სხვა საბინაო საკითხთა გადაჭრის დროს საბინაო ორგანიზაციები უსაფუძვლოდ მოითხოვენ მოქალაქეთაგან, წარმოადგინეთ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტთა პირები. ამასთან ეს დოკუმენტები დედნის სახით შეიძლება წარმოადგინონ საჭირო ცნობების ამოსაწერად.

მაგალითად, იმისათვის, რომ აღრიცხვაზე აიყვანონ საბინაო პიროებების გასაუმჯობესებლად, მთელ რიგ შემთხვევებში საბინაო ორგანიზაციები მოქალაქეთაგან მოითხოვენ, რომ წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული პირები საეკლესიო შრომითი საეკლესიერო კომისიის ცნობებისა ინვალიდობის ან ავადმყოფობის შესახებ, პირები ცნობებისა იმის შესახებ, რომ მათი ოჯახის წევრები დაიღუპნენ სამამულო ომში.

ხოლო იმისათვის, რომ ოჯახის ერთ-ერთ წევრს დაუმკვიდრდეს ფართობი, და მის სახელზე გადაიტანონ პირადი ანგარიში, ხშირად უსაფუძვლოდ მოითხოვენ ნოტარიულად დამოწმებულ ორდერის პირს იმის შესახებ, რომ პასუხისმგებელ ბინის დამქირავებელს ეძლევა ახალი ფართობი. სრულიად უსაფუძვლოა აკრეთვე ის, როცა საცხოვრებელი ფართობის ორდერების გაცემის დროს მოითხოვენ ნოტარიულად დამოწმებულ პირებს ქორწინებისა და ბავშვთა დაბადების შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს, კომუნალური მეურნეობის სამხარეო და საოლქო განყოფილებებს წინადადება მიეცათ უმოკლეს ხანში დაამყარონ ჯეროვანი წესრიგი საცხოვრებელი ფართობის მიღების ან სხვა საბინაო საკითხთა გადაჭრის დროს მოქალაქეთათვის საჭირო ცნობებისა და სხვა დოკუმენტების მიცემის საქმეში. იმ შემთხვევებში, როცა საჭირო ცნობები დამოწმებულ იქნება მოქალაქეთა ხელთ არსებული ნამდვილი დოკუმენტებით, მათ არ უნდა წარადგინონ ყოველგვარი დამატებითი ცნობები და დოკუმენტთა პირები.

# მშვიდობისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი

**გორი, 2 მარტი.** (საქდესი). საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის გორის წარმომადგენლის, ქალაქის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის ვერა დავითის ასულ ჩიკოიძის ინიციატივით გორში გაიმართა დიდი საღამო-კონცერტი, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლას მიეძღვნა. საღამოს მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქისა და რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების აქტივმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, პედაგოგებმა, თეატრის მსახიობებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

„იმღერეთ, იცეკვეთ, იმხიარულეთ!“ — ამ დევიზით მოეწყო საღამო, რომლის ვრცელი პროგრამა აგებული იყო მშვიდობისათვის ბრძოლის თემაზე.

ფოიეში გამართული ლატარიის ყველა ბილეთი იგებდა რაიმე ნივთს. ეს იყო საღამოს მონაწილე ახალგაზრდების ნახელავი სუვენირები.

საღამო-კონცერტის შემოსავალი ჩაირიცხა „მშვიდობის ფონდში“. (ხა„ ე'ი).

### ახალი ქვესადგურები

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). მწყობრში ჩადგა კურორტ ცაიშისა და ზედა ეწერის ქვესადგურები, საიდანაც ელექტროდენი მიიღეს ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, ხეთის (იტრუსეგის საბჭოთა მეურნეობამ და ანაკლიის მერძევეობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობამ.

სოხუმი. ლენინის ქუჩა.
ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ალმოჩენის ბღურბლზე?

## მეცნიერები ვარაუდობენ: კიბოს გამომწვევია ვირუსი

**ჯაბურგის გაზეთმა „დი ველტმა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა თავისი მეცნიერი მიმომხილველის კრისტოფ ვოლფის სტატია, სადაც მოკვეთილია კიბოს განსაკუთრებულ ფორმაზე, რომელიც ამჟამად აფრიკაში მძვინვარებს. ვარაუდობენ, რომ ავადმყოფობა გამოწვეულია ვირუსით. ეს კი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია — ადამიანის ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოქმნის მიზეზები ხომ დღემდე უცნობია.**

**აი რას წერს კრისტოფ ვოლფი:**

□ □

კითხვაზე, შეიძლება თუ არა ადამიანის სიმსივნეები გამოწვეული იყოს გარკვეული „კიბოს აღძვრელებით“, მეცნიერებას დღემდე ვერ გაუცია სამოლოო პასუხი.

ცხოველებში სულ სხვა ვითარებაა. შიბატი ფრინველის გარკვეული კიბოვანი სიმსივნეები ვირუსის სამუალებით გადადის. თაგვების რძეში ნაპოვნია გარკვეული ფაქტორი, რომლის მეობებთაც კიბოთი დაავადებისადმი მიდრეკილება დედა-თაგვისაგან შეიძლება გადაეცეს მომდევნო თაობას. ასეთი მოვლენები ადამიანებში დღემდე არასოდეს არ ყოფილა შემჩნეული. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი პროფესორი სტენლი, რომლებსაც მიჩნიათ რომ ადამიანის გარკვეული კიბოვანი სიმსივნეები ინფექციური ხასიათის ატარებენ.

ამ ჰიპოთეზის დასადასტურებლად აფრიკაში მოეწყო ფართო კვლევა, რომლის შედეგადაც ბევრი რამ საინტერესო აღმოჩნდა. როგორც კამპალის (უგანდა) სამედიცინო განყოფილებისა და მულაგის ჰოსპიტლის ხელმძღვანელი, დოქტორი დენის ბურკიტი იუწყება, ეს კვლევა წარმოებდა 12 წლამდე ასაკის ბევრ აფრიკელ ბავშვთა შორის. აფრიკელი ბავშვები სწორედ ამ ასაკში ავადდებიან კიბოვანი ავადმყოფობის უცნაური ფორმით, რომელიც დანარჩენ სამყაროში უცნობია. ეს ავადმყოფობა განსაკუთრებით ხშირად ჩნდება ხორხის არეში, ესე იგი სხეულის იმ ნაწილში, სადაც ბავშვთა ჩვეულებრივი კიბო ძალიან იშვიათია. გარდა ამისა, ჩნდება შინაგან ორგანოთა სიმსივნეები, ხოლო ზოგჯერ თვალის ფოსოებიც ავადდება. ყველაზე ხშირად ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტასტაზებთან, ეგრეთწოდებულ მეორად სიმსივნეებთან, რომელთა მიზეზია ძირითადი სიმსივნე ხორხის არეში.

თავდაპირველად მიიჩნდათ, რომ ამ დაავადებებში მთავარ როლს ასრულებს მემკვიდრეობა, ესე იგი საქმე გვაქვს გენეტიკურ დაავადებასთან. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ავადდებიან არა მარტო ადგილობრივი აფრიკელი ბავშვები, არამედ მათი თანატოლებიც ევროპაში და დედამიწის სხვა ნაწილებში, თუ ისინი წინასწარ აფრიკაში ყოფილან.

ამით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შესაძლოა არსებობდეს რაღაც გარეგანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს დაავადებას, სტიმულს აძლევს ბავშვებში კიბოვან სიმსივნეთა ჩასახვასა და ზრდას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ეკოგრაფიული ანალიზი დაიდებებისა, რომლის რიცხვი, სამწუხაროდ, განუწყვეტლივ იზრდება.

რაიონი, სადაც ეს უცნაური ავადმყოფობა იჩენს თავს, ფართო სარტყლად მიჰყვება აფრიკის კონტინენტს, დაახლოებით 15 გრადუსზე ეკვატორს ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეს ავადმყოფობა გავრცელებულია, ჩრდილოეთ საჰარაში ისევე როგორც სამხრეთ აფრიკაში, გარდა რამდენიმე სავსებით ცალკეული შემთხვევისა. საკმარისია სამხრეთ აფრიკის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაპირზე ყირნოს თავი ამ ავადმყოფობამ, რომ სამხრეთისკენაც გავრცელდეს. ამ სარტყლის შიგნით არის პატარა მცირედ დასახლებული „კუნძულები“, სადაც ავადმყოფობა ოდნავ არის შესამჩნევი.

აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში ბავშვთა კიბო შეზღუდული კიდევ ერთი „ბარიერით“. ეკვატორის ახლოს ავადმყოფობა შემჩნეულია მხოლოდ იმ რაიონებში, რომლებიც ზღვის დონიდან 1.600 მეტრზე დაბლა მდებარეობენ. ეკვატორიდან რამდენადმე უფრო შორს ეს „სიმაღლის ბარიერი“, რომელიც უზრუნველყოფს ავადმყოფობისაგან დაცვას, თანდათან დაბლა იწევს: აქ ბავშვები ზღვის დონიდან უკვე ათას მეტრ სიმაღლეზე ავადმყოფობისათვის შეუვალი ხდებიან. კიბო ამჟამინდეს აგრეთვე გარკვეულ ადგილებს მდინარეთა და ტბათა დაბლობებში, მაშინ როცა მაღალი რაიონები, სადაც დიდი ქალაქებია, ამ ავადმყოფობისათვის მიუვალია. მაგალითად, შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ იქ, სადაც მინიმალური ტემპერატურა თხუთმეტ გრადუსამდე იწევს დაბლა, ბავშვთა კიბო არ არსებობს.

გარდა ამისა, უცნაური სიმსივნის გეოგრაფია დაკავშირებულია ჰავის სხვა ფაქტორებთანაც — ჰაერის ტენიანობასთან და მცენარეულობის არსებობასთან. მეტად მშრალ რაიონებსა და უდაბნო ადგილებში ბავშვთა კიბო მნიშვნელოვნად უფრო იშვიათია, ვიდრე თბილ და ნესტიან ადგილებში.

როცა გამოცდილი ტროპიკული ექიმი იწყებს ყველა ამ დაკვირვების ერთმანეთთან შეჯერებას, მას თვალში ეცემა საინტერესო მოვლენა: კიბოს გავრცელების რაიონი განსაცვიფრებლად ემთხვევა ძილის ავადმყოფობის გადამტანი ცეცე ბუზის გავრცელების რაიონს. იმ ფაქტორების ანალიზმა, რომლებიც აფერხებენ ბავშვთა კიბოს წარმოშობას, დაგვანახვა, რომ ისინი იმ მიზეზების მსგავსია, რომლებიც ეხებიან ცეცეს ბუზის მოსკიტებისა და ავადმყოფობათა გადამტანი სხვა მწერების გავრცელებაზე შემოზღუდულია სავსებით გარკვეული რაიონებით. ამრიგად, ჩვენ საკმაოდ ახლოს მივედით იმ ვარაუდთან, რომ რაღაც მსგავს მწერს შეუძლია ასრულებდეს როლს კიბოს „ალმძვრელი „აგენტების“ გადატანაში. დოქტორ ბურკიტის, მისი კოლეგებისა და სხვა ცნობილ მეცნიერთა აზრით, რაც უკანასკნელ ცდებსა და დაკვირვებებს ემყარება, ეს „აგენტი“ შეიძლება იყოს ვირუსი, თუმცა დღემდე ადამიანში კიბოს ვირუსული ინფექციის შესაძლებლობა არავის არ დაუმტკიცებია. არის ორი ფაქტი რომლებიც ადასტურებს მკვლევართა ამ საბინელ ეჭვს.

პირველ ამ ფაქტს ანატომიური ბუნება აქვს. ბავშვთა უცნაური კიბო კლინიკური და მიკროსკოპიული სურათით თავისებურად განსხვავდება ადამიანის კიბოს დღემდე ცნობილი ყველა ფორმისაგან, მაგრამ აქვს მკაფიოდ გამოსახული ფორმა კიბოვანი სიმსივნისა...

მეორე მხრივ, არის ავადმყოფობისადმი წინასწარ განწყობის თავისებური შეზღუდვა. კიბოს მსგავსი ხდებიან მხოლოდ ორიდან 12 წლამდე ასაკის ბავშვები, ამასთან ექვსი წლის ასაკისათვის ავადმყოფობის მრუდი თავის სავალალო მწვერვალს აღწევს. მაგრამ ბავშვთა ყველა სხვა კიბოვანი დაავადების სტატისტიკურ მრუდებს სულ სხვა სახე აქვს. ეტყობა, მოცემული მრუდი ტიპიურია ჯერ კიდევ უცნობი ინფექციისათვის, რომელიც, შესაძლოა, თავს იჩენს საკმაოდ ხშირად და მიმდინარეობს როგორც ინფექცია ბავშვის ვირუსული შეუძლოთ ყოფნით. მხოლოდ განსაკუთრებულ დამატებით პირობებში — როგორც ფიქრობენ მეცნიერები—მწერების მიერ ორგანიზმში შეტანილ ვირუსებს შეუძლიათ გამოიწვიონ ბავშვებში უჩვეულო კიბოვანი წარმონაქმნები. მეტ წილად კი ბავშვთა ორგანიზმებით შექმნილი იმუნიტეტი დაძლევი ნივთიერებანი ხელს უშლიან ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოქმნას.

თუ აღმოჩენილ იქნა ადამიანის კიბოვან დაავადებათა თუნდაც ერთი სახე, რომელსაც ვირუსები იწვევენ და გადაეცემა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ავთვისებიან სიმსივნეთა შემდგომი კვლევისათვის.

### კომენტარს აკეთებს

**გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ლ. ა. ზილბერგი**

**დაავადება,** რომელზეც მოგვითხრობს გაზეთ „დი ველტის“ მიმომხილველი, მართლაც უბედურება ხდება აფრიკის მთელი რიგი ოლქებისათვის. გასაკვირველი არ არის, რომ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ცდილობენ დაეხმარონ აფრიკელ ბავშვებს, მუშაობენ იმაზე, რომ გამოარკვიონ უცნაური ავადმყოფობის გაჩენისა და არაჩვეულებრივი გეოგრაფიული გავრცელების მიზეზები, ისწავლონ მისი მკურნალობა. მეცნიერებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შემოწმებულ იქნას ვარაუდი კიბოს ამ სახეობის ვირუსული წარმოშობის შესახებ.

საკითხი ჯერჯერობით ღია რჩება. გეოგრაფიული და ანატომიური ფაქტორები თითქოს ადასტურებენ, რომ საქმე გვაქვს ინფექციასთან. მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ ვერ მოახერხა ვირუსის გამოყოფა ბავშვთა სიმსივნეებიდან. მიუხედავად ამისა, ეს სრულებითაც არ მოწმობს, რომ ეს დაავადება ვირუსული წარმოშობისა არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ სიმსივნეში, რომლებსაც უთუოდ ვირუსები იწვევენ, თვით ვირუსების აღმოჩენა შეუძლებელია.

კვლევა გრძელდება. და, შესაძლოა, მეცნიერება დგას დიდი აღმოჩენის ზღურბლზე, ვინაიდან ადამიანის ავთვისებიან სიმსივნეთა თუნდაც ერთი ფორმის ვირუსული წარმოშობის დამტკიცებამ შუქი უნდა მოჰფინოს ამ დაავადების სხვა ფორმების წარმოშობის მიზეზებსაც.

(„ნედელია“).

# ბოვიდა საამო გაგაფხული

## ამინდი მარტში

ცამ ღრუბლების ქათიბი გადაიძარა, მზემ გამოანათა, ბუნებამ გაიღვიძა, მოვიდა დიდი იმედებისა და შრომის გაზაფხული. გამარჯობა, გაზაფხულო! დაილოცოს შენი მობრძანება! ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფელიყოს შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხული, — ამბობენ მთასა და ბარში.

დღეს მზე ამოდის 7 საათსა და 33 წუთზე. ჩადის 18 საათსა და 53 წუთზე. დღის სიდიდე 11 საათი და 19 წუთია. პირველი იანვრიდან სამ მარტამდე დღე ორი საათითა და ათი წუთით გაიზარდა.

საკოლმეურნეო მინდვრებში გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვა, საშემოდგომო ნათესებს გულისხმიერად ეკლიან, ვენახებში შეაქვთ სასუქები, მიმდინარეობს ნიადაგის დამუშავება, ვაზის გასხვლა, შტამბის გასუფთავება; ჩაის პლანტაციებში გრძელდება ნიადაგის გადაბარვა ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანით, ჩაის პლანტაციების გასხვლა და სხვ. ხეხილის ბაღებში შეაქვთ სასუქი, ამუშავებენ ნიადაგს, სხლავენ ნარგავებს, მიმდინარეობს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ. ციტრუსების ბაღებშიც გაჩაღდა მუშაობა. თესავენ თამბაქოს, ბოსტნეულს. მეცხოველეობის ფერმებშიც დაძაბული და შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული.

ახლა სოფლად ხშირად გაიგონებთ როგორი იქნება გაზაფხული, მარტში ამინდის მკვეთრი ცვლებადობა ხომ არ არის მოსალოდნელი?

აღმოსავლეთ საქართველოში მარტის განმავლობაში მოსალოდნელია: უმეტესად ცვალებადი მოღრუბლულობა: ნალექები დროგამოშვებით უმეტესად პირველ დეკადაში, აგრეთვე მეორე დეკადის პირველ ნახევარში და მესამე დეკადის ბოლოს.

ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია პირველი დეკადის პირველ ნახევარში: დაბლობ რაიონებში — 2 . + 3 გრადუსი (მინიმალური 0, —5 გრადუსი), მთიან რაიონებში —1, —6 გრადუსი (მინიმალური —5, —10 გრადუსი).

ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა +2, +7 გრადუსი (რაც ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე შეესაბამება საშუალო მრავალწლიურს, ალაგ-ალაგ კი ნორმაზე 1 გრადუსით მაღალია).

ნალექების თვიური ჯამი მოსალოდნელია 42-107 მილიმეტრის საზღვრებში (მრავალწლიურ საშუალოზე მეტი).

დასავლეთ საქართველოში მარტის განმავლობაში მოსალოდნელია: ცვალებადი მოღრუბლულობა: დროგამოშვებით ნალექი უმეტესად პირველ დეკადაში, აგრეთვე მეორე დეკადის პირველ ნახევარსა და მესამე დეკადის ბოლოს.

ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მოსალოდნელია პირველი დეკადის პირველ ნახევარში: დაბლობ რაიონებში +2, +7 გრადუსი (მინიმალური — 2, +3 გრადუსი), მთიან რაიონებში — 4, +1 გრადუსი (მინიმალური — 2, —7 გრადუსი).

ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა იქნება +4, +10 გრადუსი (ნორმასთან ახლოს მცირე დადებითი და უარყოფითი გადახრებით).

ნალექების თვიური ჯამი მოსალოდნელია 95-240 მილიმეტრის საზღვრებში (მრავალწლიურ ნორმაზე მეტი).

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს გაზაფხულის პირველი თვე რესპუბლიკის უმეტეს რაიონში ხელსაყრელია სოფლის მშრომელთათვის, რომ მათ აგროვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. მთავარია ამინდის მიხედვით კარგად შედგეს ყოველდღიური, ყოველკვირეული, მთელი თვის სამუშაო გეგმები. გეგმის შესრულება კი შემოქმედებით შრომაზეა დამოკიდებული. ვინც კარგად გამოიყენებს დროს, მისთვის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

საუბარი საქართველოს სსრ ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოს უფროს ინჟინერ-სინოპტიკოს
**ვ. ბოგოტიშვილთან**

# ბოვიდა საბჭოთა ბაგაფხული

## ბოვიდა ბაბჭოთა ბაბ

**ბ. ბოგბოვი ფრთვნის „ჩერნომორეცს“**

ბათუმში გადის თავის საწვრთნელ შეკრებას ოდესის „ჩერნომორეცი“, რომელიც ჩარიცხულია „ა“ კლასის მეორე ჯგუფში. გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნულია წარსულში განოქმული ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვსევოლოდ ბობროვი. „ჩერნომორეცის“ შემადგენლობაში ძირითადად ის ფეხბურთელები შედიან, რომლებიც შარშან მონაწილეობდნენ უკრაინის ჩემპიონატში. წელს აქ კიევის „დინამოდან“ გადმოვიდა ცნობილი მეკარე ბორის რაზინსკი.

„ჩერნომორეცი“ საკონტროლო მატჩში შეხვდა ბათუმის „დინამოს“. შეხვედრა დამთავრდა ოდესელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

**დღეს** ბათუმში ითამაშებენ ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. ხვალ ქუთაისელები ეთამაშებიან ოდესის „ჩერნომორეცს“.

ბოლოისის „დინამო“ თავის პირველ საკონტროლო მატჩს გამართავს 5 მარტს ალმა-ატის „კაირატთან“.

### შეხვედრები ბულგარეთში

მოსკოვის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი საწვრთნელი მატჩების ჩასატარებლად იმყოფება ბულგარეთის სანალოო რესპუბლიკაში. საბჭოთა ფეხბურთელებს პირველი შეხვედრა აქონდათ პლოვდივში ადგილობრივ „სპარტაკთან“. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

დიმიტროვგრადი. მეორე საკონტროლო მატჩში სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის მეტოქეები აღმოჩნდნენ ადგილობრივი გუნდის „მინიორის“ გამოცდილი ფეხბურთელები, რომლებიც ბულგარეთის პირველობაზე თამაშობენ. ჩვენმა ჭაბუკებმა ისინი დამარცხეს—1:0.

### ბ. კახიანი— მეორე ადგილზე

**ტერსკოლში** დამთავრდა პროფკავშირთა ზამთრის V საკავშირო სპარტაკიადის შეჯიბრებები ტრამბლინიდან ხტომაში. ორჭიდსა და სამთო სახეობებში. ჭაბუკთა შორის სამჭიდში წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ბ. კახიანი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი პირველმა ვ. შეინნმა მოიპოვა. ვაჟთა შორის სამჭიდში ჩემპიონი გახდა მოსკოველი ტ. მონესტირეოვი.

### ჩოგბურთელთა ასპარეზობა

**ჩვენი** ქვეყნის ოთხ ქალაქში დაიწყო ფრენბურთელთა ზამთრის ფინალური სკავშირო ტურნირი. ხარკოვის ქვეჯგუფში თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდთან ერთად მონაწილეობენ ლენინგრადის „სპარტაკი“, როსტოველ ხა„ ბოსკოვის „დინამო“, რიგის „რადიოტექნიკი“ და ხარკოვის „ბურევესტნიკი“.

პირველ შეხვედრაში ქართველი ფრენბურთელები დამარცხდნენ რიგელებთან ანგარიშით 1:3. ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს როსტოველებმა ლენინგრადელები და ხარკოველებმა — მოსკოველები.

### ჩოგბურთის ბადესთან

**ჩოგბურთელთა** მოსკოვის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი დასასრულს უახლოვდება. ა. დმიტრიევა-გ. ბაკშეევას წყვილმა ფინალური შეჯიბრება მოუგო ი. ერმოლოვა-ე. პოტანინას წყვილს. ერთეულთა შეხვედრაში ა. დმიტრიევამ დაამარცხა მოსკოვის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირების ორგზის ჩემპიონი ი. ერმოლოვა ანგარიშით 7:5, 7:5. საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი კიეველი მ. მოზერი ნახევარფინალში შეხვდა დანიის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ი. ლეშლის. გაიმარჯვა დანიელმა. მეორე ნახევარფინალში ტალინელმა თ. ლეიუსმა მოუგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ა. პოტანინს. ფინალურ შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდებიან ი. ლეშლი და თ. ლეიუსი.

კომუნისტი პოლიტიკური ფურცელი

### ფრენბურთელთა ასპარეზობა

**ჩვენი** ქვეყნის ოთხ ქალაქში დაიწყო ფრენბურთელთა ზამთრის ფინალური სკავშირო ტურნირი. ხარკოვის ქვეჯგუფში თბილისის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდთან ერთად მონაწილეობენ ლენინგრადის „სპარტაკი“, როსტოველ ხა„ ბოსკოვის „დინამო“, რიგის „რადიოტექნიკი“ და ხარკოველი „ბურევესტნიკი“.

პირველ შეხვედრაში ქართველი ფრენბურთელები დამარცხდნენ რიგელებთან ანგარიშით 1:3. ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს როსტოველებმა ლენინგრადელები და ხარკოველებმა — მოსკოველები.

**Комунисти** ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-78-24, ხალუსტრაციო — 8-20-48, განცხადებების — 9-94-42.

ЧВЕНИ ЗИСАМАРТИ ДА ТЕЛЕФОНЕБИ

ЧЕ 00968

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის „პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.